ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 11

9 თებერვალი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე, გოჩა თევდორაძე.

მოწვეული სტუმრები:

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე -ილია ელოშვილი

მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

გლდანის რაიონის გამგებელი -ბექა მიქაუტაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი- ირაკლი თავართქილაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(№12-03180313-03)

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

(№12-03180314-03)

3. ქ.თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 62 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი;№72.13.19.535) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

(№12-03180314-03)

4, ქ.თბილისში, აჭარის ქუჩა №10-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.16.02.029.015) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

№12-03180314-03

5.ქ.თბილისში მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №279 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

6. .ქ.თბილისში მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი - ილია ელოშვილი.

ილია ელოშვილმა დაწვრილებით ისაუბრა პროექტთან დაკავშირებით და ყურადღება გაამახვილა იმ სიახლეებზე, რასაც ითავლისწინებს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის წარმოდგენილი პროექტი. კერძოდ მან აღნიშნა, რომ შეიქმნება ამხანაგობების ასოციაცია, რომელიც ვალდებული იქნება საერთო კრების ოქმით განსაზღვროს ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციის და განვითარებისათვის აუცილებელი სადანახარჯო შენატანების ოდენობა, რომლის შეტანაც განხორციელდება ამხანაგობის ანგარიშზე. შენატანის ოდენობა უნდა შეადგენდეს დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების 10%-ს. დღეის მდგომარეობით მოქმედი წესისაგან განსხვავებით, გამგეობის მიერ სრულად 100%-ით დაფინანსდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. წინასწარ ტენდერის მეშვეობით შეირჩევა კომპანია, რომელიც განახორციელებს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, კომპანიის მიერ შედგება დეფექტური აქტი და სამუშაოების დამთავრების შემდეგ შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლს შეამოწმებს შპს „ლაბორატორია".

აზრი გამოთქვეს: რამინა ბერაძემ, დავით უთმელიძემ, ირაკლი ზარქუამ.

შეკითხვები ეხებოდა მოსახლეობის მიერ 10% -ის შეგროვებასთან დაკავშირებით, რაზედაც ილია ელოშვილმა განმარტა, რომ იმ შემთხვევაში თუ ამხანაგობის მიერ არ იქნება ანგარიშზე შეტანილი შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 10%-ი, ის ერთი კონკრეტული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რაც წარმოდგენილი ექნება ამხანაგობას, გამგეობის მიერ დაფინანსდება სრულად, მაგრამ შემდეგში მასთან ურთიერთობა არ გაგრძელდება,სანამ ამხანაგობის ამგარიშზე არ აისახება სადანახარჯო შენატანი. მან ასევე დაწვრილებით ისაუბრა იმ კრიტერიუმებზე რა კრიტერიუმითაც მოხდება კომპანიის შერჩევა.

რამინა ბერაძის შეკითხვაზე ძველ პროექტებთან დაკავშირებით, ილია ელოშვილმა განმარტა, რომ დადგენილების ამოქმედებამდე „ბინათმესაკუთრეთა ამხანაობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დაწყებული პროექტები ჩვეულებრივ დაფინანსდება ამჟამად მოქმედი დადგენილების მიხედვით.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე- 7. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე

მომხსენებლის თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესიდან ამოღებულია კონკრეტული კომერციული ბანკის მითითება (სს ლიბერთი ბანკი).

საკითხთან დაკაშირებით შეკითხვები არ დასმულა.

მომხრე- 7. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 62 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი;№72.13.19.535) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ამხანაგობა „მეგობრობას“, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა გლდანში მდებარე 62 კვმ მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად 1 ლარად. ვალდებულებად განესაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის ვადაში მიწის ნაკვეთზე განათავსოს წყალმომარაგების ქსელისათვის გათვალისწინებული სატუმბი სადგური და უზრუნველყოს მისი შემდგომი ფუნქციონირება. როგორც ამხანაგობის თავმჯდომარე წერილში აღნიშნავს, სოფელ გლდანში, წერეთლისა და 26 მაისის ქუჩებზე მოსახლეობა სასმელი წყლის გარეშე ცხოვრობდა წლების მანზილზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე წყალმომარაგების ქსელის მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსებას უზრუნველყოფს გლდანის რაიონის გამგეობა.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

მომხრე- 7. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია "ქ.თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 62 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი;№72.13.19.535) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, აჭარის ქუჩა №10-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.16.02.029.015) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

მომხსენებლის განმარტებით, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით 8 პირს, აჭარის ქუჩა №10 ის მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობაში 1 სართულზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ ფართები. ეს პირები დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ აღნიშნულ ქონებას. სახელმწოფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ №01.16.02.029.015 საკ/კოდიდან გამიჯნა მათი ფართები და მოხდა ამ ფართების ცალკე საკადასტრო ერთეულებად დარეგისტრირება საჯარო რეესტრში.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

მომხრე- 7. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია"ქ.თბილისში, აჭარის ქუჩა №10-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი:

№01.16.02.029.015) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე და მეექვსე საკითხებთან დაკავშირებით ისაუბრა ირაკლი ზარქუამ.

ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის ცვლილებიდან გამომდინარე საკრებულოს დაემატა 5 თანამდებობის პირი, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები. გამომდინარე აქედან ხდება თანამდებობის პირების კუთვნილი ავტომანქანებისათვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავისა და მობილური ტელეფონით სარგებლობისათვის გასაწევი ყოველთვიური ხარჯების ლიმიტების გადანაწილება.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

მომხრე- 7 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია - „ქ.თბილისში მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №279 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ქ.თბილისში მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკრებულოს განკარგულებების პროექტების საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა